



## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

### პროგრამის სახელწოდება

სამართალი
LAW

### ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგი
BUSINESS - ENGINEERING

### პროგრამის ხელმძღვანელი

სრული პროფესორი ქეთევან ქოქრაშვილი
სრული ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ იხ. თანდართულ CV-ში (დანართი №1)

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

სამართლის მაგისტრი (Master of Law)
მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

### პროგრამის მოცულობა კრედიტებით

<p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად.</p> <p>სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, მაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს.</p> <p>სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.</p> <p>სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. როგორც პირველი (შემოდგომის), ასევე მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს 20.5 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 41 კვირაზე.</p>
---

## სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

## პროგრამის მიზანი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის სფეროში, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამართლის სისტემების ძირითადი თავისებურებების, სამართლის თეორიების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების შესახებ.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:

- საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიღწევის, აგრეთვე ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
- სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
- სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
- სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი;
- დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი.

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე (<http://www.gtu.ge/study/index.php>)

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

## სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

### - ცოდნა და გაცნობიერება

- აქვს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც აძლევს დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას;
- გაცნობიერებული აქვს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზები.

### - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- განმარტების მეთოდების გამოყენებით შეუძლია კერძო-სამართლებრივი, სისხლისსამართლებრივი ან საჯარო-სამართლებრივი პრობლემების კომპლექსური შეფასება და მათი გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება,
- შეუძლია უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

### - დასკვნის უნარი

- ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების, სასამართლო პრაქტიკისა ან მეცნიერული მიდგომების (მათ შორის, უახლესი კვლევების) პირობებში შეუძლია ცვლილების ანალიზი და დასაბუთებული სამართლებრივი დასკვნის ჩამოყალიბება.

### - კომუნიკაციის უნარი

- შეუძლია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენაზე გადასცეს საკუთარი სამართლებრივი დასკვნები და არგუმენტები.

### - სწავლის უნარი

- თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრის უნარი;
- პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით ცოდნის გაფართოების უნარი.

### - ღირებულებები

- მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად არსებული სამართლებრივი ღირებულებების ანალიზისა და საჭიროების შემთხვევაში, ახალი ღირებულებების ფორმირებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი;
- პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვისა და ეთიკური მოსაზრებების საფუძველზე პროფესიული ქცევის უნარი.

## სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები

- ლექცია    სემინარი (ჯგუფში მუშაობა)    პრაქტიკული    ლაბორატორიული    პრაქტიკა  
 საკურსო სამუშაო/პროექტი    დამოუკიდებელი მუშაობა    სამაგისტრო ნაშრომი

## სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერიტი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის (Case study) მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, ელექტრონული სწავლების (learning) მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

### 1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

2. დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

### 4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.

5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

6. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

7. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

8. შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

9. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**10. როლური და სიტუაციური თამაშები** – სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**11. დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**12. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.**

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**13. ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**14. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**15. წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

## სტუდენტის ცოდნის შეფასება

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- ყოველკვირეულ შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენება ზეპირი და წერითი (ტესტი, კაზუსი, ღია კითხვები, ესეს, და ა.შ.) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების მომზადებას და მის პრეზენტაციას ან იმიტირებულ სასამართლო პროცესში

მონაწილეობას.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, ფორმები და კრიტერიუმები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, <http://www.gtu.ge/study/index.php>

პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება, ისევე როგორც სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასება უნივერსიტეტში წარმოებს 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება. კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასებაა 51 ქულა.

#### **დადებით შეფასებად ითვლება:**

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

#### **უარყოფით შეფასებად ითვლება:**

(FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება, იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 კალენდარული დღისა.

(F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

#### **დასაქმების სფერო**

სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

#### **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი იურიდიული ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №2 დანართში.

**პროგრამის სტრუქტურა**

სამართლის სამაგისტრო სასწავლო პროგრამა შედგება სავალდებულო სასწავლო კურსების (A), სპეციალობის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსების (B), პრაქტიკული კომპონენტის (C), აგრეთვე კვლევითი კომპონენტისგან (D).

**სამართლის სამაგისტრო პროგრამის ელემენტები (120 ECTS)**

- (A) სავალდებულო სასწავლო კურსები - 15 ECTS
- (B) სპეციალობის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსები - 50 ECTS
- (C) პრაქტიკული კომპონენტი - 10 ECTS
- (D) კვლევითი კომპონენტი - 45 ECTS

**სავალდებულო სასწავლო კურსები (15 ECTS)**

სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის პროგრამაში გათვალისწინებულია 15 კრედიტი, რაც მოიცავს სამართლის ფილოსოფიისა (5 ECTS) და ინგლისურ ენაზე ბიზნეს კომუნიკაციის (5 ECTS) სწავლებას. სტუდენტი ასევე შეისწავლის პროფესიული თარგმანის თეორიასა და პრაქტიკას, რაც დაეხმარება მას უცხოენოვან წყაროებზე მუშაობისას.

**სპეციალობის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსები (50 ECTS)**

სპეციალობის მოდულები სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და გაიღრმავოს ცოდნა კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის სფეროში. სტუდენტს უფლება აქვს სპეციალობის ნებისმიერი მოდულიდან თავისი ინტერესების შესაბამისად აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი. სპეციალობის მოდულებიდან სავალდებულოა 50 კრედიტის დაგროვება.

<p>თეორიული კომპონენტის მოდულებია:</p> <p>(A) მოდული - თანამედროვე კერძო/ბიზნესის სამართალი - 50 ECTS          (B) მოდული - თანამედროვე სისხლის სამართალი - 50 ECTS          (C) მოდული - თანამედროვე საჯარო სამართალი - 50 ECTS</p>
<b>პრაქტიკული კომპონენტი (10 ECTS)</b>
<p>პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს იურიდიულ კლინიკას. იურიდიულ კლინიკას ეთმობა 10 კრედიტი.</p> <p>იურიდიული კლინიკა სტუდენტმა შეიძლება გაიაროს შემდეგ კლინიკებში:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ცენტალური საარჩევნო კომისია;</li> <li>• ნოტარიუსთა პალატა;</li> <li>• თბილისის საქალაქო სასამართლო;</li> <li>• ადვოკატები: მ. ყანადაშვილი, ი. იმერლიშვილი, ფ. ზირაქაშვილი, ლ. ჭიკლაური.</li> </ul> <p>სპეციალობით მომუშავე სტუდენტმა იურიდიული კლინიკის ნაცვლად 10 კრედიტი უნდა დააგროვოს სპეციალობის მოდულებიდან სასწავლო კურსების ხარჯზე.</p>
<b>კვლევითი კომპონენტი (45 ECTS)</b>
<p>სამეცნიერო კვლევის კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის პროექტის/პროსპექტუსის მომზადებას (5 კრედიტი), თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევას/კოლოქვიუმს (10 კრედიტი), ასევე სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას (30 ECTS კრედიტი).</p> <p>კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, ფორმები და კრიტერიუმები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, <a href="http://www.gtu.ge/study/index.php">http://www.gtu.ge/study/index.php</a></p>

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	საგნის კოდი	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
		<b>სასწავლო კომპონენტი:</b>					
		<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>					
1.	BSC0007-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ენებზე).	არ გააჩნია	5			
2.	TPT0007-LP	თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული).	არ გააჩნია		5		
3.	LOF0107-LS	სამართლის ფილოსოფია	არ გააჩნია	5			
		<b>მოდული – თანამედროვე კერძო/ბიზნესის სამართალი</b>		<b>20</b>	<b>20</b>	<b>10</b>	
1.	CIL0107-LS	თანამედროვე სამოქალაქო სამართალი	არ გააჩნია	5			
2.	CIL0207-LS	თანამედროვე სამოქალაქო სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	არ გააჩნია	5			



№	საგნის კოდი	საგანი	დამვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
				I წელი		II წელი	
				სემესტრი			
				I	II	III	IV
3.	CIL0307-LS	შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი	არ გააჩნია	5			
4.	CIL0407-LS	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	არ გააჩნია	5			
5.	CIL0507-LS	საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი	არ გააჩნია		5		
6.	CIL0607-LS	საბანკო და სადაზღვევო სამართალი (თეორია და პრაქტიკა)	არ გააჩნია		5		
7.	CIL0707-LS	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი:თეორია და პრაქტიკა	არ გააჩნია		5		
8.	CIL0807-LS	შედარებითი საარბიტრაჟო სამართალი და მედიაცია	არ გააჩნია		5		
9.	CIL0907-LS	შედარებითი სანივთო სამართალი	არ გააჩნია			5	
10.	CIL1007-LS	საოჯახო-მემკვიდრეობის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	არ გააჩნია			5	
		<b>მოდული – თანამედროვე სისხლის სამართალი:</b>		<b>18</b>	<b>20</b>	<b>10</b>	
1.	CLP0107-LS	თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია	არ გააჩნია	5			
2.	CLP0207-LS	ნოვაციები სისხლის სამართლის პროცესში	არ გააჩნია	5			
3.	CLP0307-LS	ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	არ გააჩნია	5			
4.	CLP0407-LS	საერთაშორისო სისხლის სამართალი: თეორია და პრაქტიკა	არ გააჩნია	5			
5.	CLP0507-LS	შედარებითი კრიმინოლოგია	არ გააჩნია		5		
6.	CLP0607-LS	საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	არ გააჩნია		5		
7.	CLP0707-LS	შედარებითი სისხლის სამართალი	არ გააჩნია		5		
8.	CLP0807-LS	მტკიცებითი სამართალი	არ გააჩნია		5		
9.	CLP0907-LS	ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	არ გააჩნია			5	
10.	CLP1007-LS	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	არ გააჩნია			5	
		<b>მოდული – თანამედროვე საჯარო სამართალი</b>		<b>20</b>	<b>20</b>	<b>10</b>	
1.	CAL0107-LS	თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის აქტუალური პრობლემები	არ გააჩნია	5			
2.	CAL0207-LS	თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	არ გააჩნია	5			
3.	CAL0307-LS	თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები	არ გააჩნია	5			

№	საგნის კოდი	საგანი	დამშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი				
				I წელი		II წელი		
				სემესტრი				
				I	II	III	IV	
4.	CAL0407-LS	ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	არ გააჩნია	5				
5.	CAL0507-LS	თანამედროვე საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	არ გააჩნია		5			
6.	CAL0607-LS	ადამინის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები	არ გააჩნია		5			
7.	CAL0707-LS	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და კონსტიტუციური კონტროლი	არ გააჩნია		5			
8.	CAL0807-LS	ხელისუფლების დემოკრატიული ორგანიზაცია	არ გააჩნია		5			
9.	CAL0907-LS	სამოხელეო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	არ გააჩნია			5		
10.	CAL1007-LS	შედარებითი მუნიციპალური სამართალი	არ გააჩნია			5		
11.	CAL1107-LS	ჯანდაცვის სამართალი	არ გააჩნია			5		
		<b>პრაქტიკული კომპონენტი:</b>				<b>10</b>		
1.	-	იურიდიული კლინიკა	არ გააჩნია			10		
		<b>კვლევითი კომპონენტი:</b>				<b>5</b>	<b>10</b>	<b>30</b>
1.	-	სამაგისტრო კვლევის პროექტი - პროსპექტუსი	არ გააჩნია		5			
2.	-	თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა - კოლოქვიუმი	პროსპექტუსი			10		
3.	-	კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	კოლოქვიუმი				30	
				<b>სემესტრში</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>
				<b>წელიწადში</b>	<b>60</b>		<b>60</b>	
				<b>სულ</b>			<b>120</b>	

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და ბუნებრივება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
		<b>სასწავლო კომპონენტი:</b>						
		<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>						
1.	BSC0007-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ენებზე).	X	X		X		X
2.	TPT0007-LP	თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული).	X	X		X		
3.	LOF0107-LS	სამართლის ფილოსოფია	X	X	X	X	X	
		<b>მოდული – თანამედროვე კერძო/ბიზნესის სამართალი</b>						
1.	CIL0107-LS	თანამედროვე სამოქალაქო სამართალი	X	X	X	X	X	X
2.	CIL0207-LS	თანამედროვე სამოქალაქო სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
3.	CIL0307-LS	შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი	X	X	X	X	X	
4.	CIL0407-LS	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	X	X	X	X	X	
5.	CIL0507-LS	საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი	X	X	X	X	X	
6.	CIL0607-LS	საბანკო და სადაზღვევო სამართალი (თეორია და პრაქტიკა)	X	X	X	X	X	X
7.	CIL0707-LS	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი: თეორია და პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
8.	CIL0807-LS	შედარებითი საარბიტრაჟო სამართალი და მედიაცია	X	X	X	X	X	
9.	CIL0907-LS	შედარებითი სანივთო სამართალი	X	X	X	X	X	
10.	CIL1007-LS	საოჯახო-მემკვიდრეობის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
		<b>მოდული – თანამედროვე სისხლის სამართალი:</b>						
1.	CLP0107-LS	თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია	X	X	X	X	X	X
2.	CLP0207-LS	წოვაციები სისხლის სამართლის პროცესში	X	X	X	X	X	X
3.	CLP0307-LS	ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	X	X	X	X	X	X
4.	CLP0407-LS	საერთაშორისო სისხლის სამართალი: თეორია და პრაქტიკა	X	X	X	X	X	
5.	CLP0507-LS	შედარებითი კრიმინოლოგია	X	X	X	X	X	
6.	CLP0607-LS	საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	X	X	X	X	X	X
7.	CLP0707-LS	შედარებითი სისხლის სამართალი	X	X	X	X	X	

8.	CLP0807-LS	მტკიცებითი სამართალი	X	X	X	X	X	X
9.	CLP0907-LS	ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	X	X	X	X	X	X
10.	CLP1007-LS	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	X	X	X	X	X	
		<b>მოდული – თანამედროვე საჯარო სამართალი</b>						
1.	CAL0107-LS	თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის აქტუალური პრობლემები	X	X	X	X	X	X
2.	CAL0207-LS	თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
3.	CAL0307-LS	თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები	X	X	X	X	X	X
4.	CAL0407-LS	ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
5.	CAL0507-LS	თანამედროვე საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
6.	CAL0607-LS	ადამინის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები	X	X	X	X	X	X
7.	CAL0707-LS	საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და კონსტიტუციური კონტროლი	X	X	X	X	X	X
8.	CAL0807-LS	ხელისუფლების დემოკრატიული ორგანიზაცია	X	X	X	X	X	X
9.	CAL0907-LS	სამოხელეო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
10.	CAL1007-LS	შედარებითი მუნიციპალური სამართალი	X	X	X	X	X	X
11.	CAL1107-LS	ჯანდაცვის სამართალი	X	X	X	X	X	X

### პროგრამის სასწავლო გეგმა

საგნის კოდი	საგანი	საათები ECTS	ლექცია	სემინარი ( მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა
	<b>სასწავლო კომპონენტი:</b>								
	<b>სავალდებულო სასწავლო კურსები</b>								
1.	BSC0007-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ენებზე).	5/135		45				90
2.	TPT0007-LP	თარგმნის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული).	5/135	15	30				90
3.	LOF0107-LS	სამართლის ფილოსოფია	5/135	30	15				90
	<b>მოდული – თანამედროვე კერძო/ბიზნესის სამართალი</b>								
4.	CIL0107-LS	თანამედროვე სამოქალაქო სამართალი	5/135	30	15				90
5.	CIL0207-LS	თანამედროვე სამოქალაქო სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	5/135	30	15				90
6.	CIL0307-LS	შედარებითი სახელშეკრულებო	5/135	30	15				90

საგნის კოდი	საგანი	საათები	ECTS	ლექცია	სემინარი (მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა
	სამართალი									
7.	CIL0407-LS	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	5/135	30	15					90
8.	CIL0507-LS	საერთაშორისო კერძო სამართალი და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი	5/135	30	15					90
9.	CIL0607-LS	საბანკო და სადაზღვევო სამართალი (თეორია და პრაქტიკა)	5/135	30	15					90
10.	CIL0707-LS	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი:თეორია და პრაქტიკა	5/135	30	15					90
11.	CIL0807-LS	შედარებითი საარბიტრაჟო სამართალი და მედიაცია	5/135	30	15					90
12.	CIL0907-LS	შედარებითი სანივთო სამართალი	5/135	30	15					90
13.	CIL1007-LS	საოჯახო-მემკვიდრეობის სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	5/135	30	15					90
		<b>მოდული – თანამედროვე სისხლის სამართალი</b>								
14.	CLP0107-LS	თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია	5/135	30	15					90
15.	CLP0207-LS	წოვაციები სისხლის სამართლის პროცესში	5/135	30	15					90
16.	CLP0307-LS	ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	5/135	30	15					90
17.	CLP0407-LS	საერთაშორისო სისხლის სამართალი: თეორია და პრაქტიკა	5/135	30	15					90
18.	CLP0507-LS	შედარებითი კრიმინოლოგია	5/135	30	15					90
19.	CLP0607-LS	საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	5/135	30	15					90
20.	CLP0707-LS	შედარებითი სისხლის სამართალი	5/135	30	15					90
21.	CLP0807-LS	მტკიცებითი სამართალი	5/135	30	15					90
22.	CLP0907-LS	ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	5/135	30	15					90
23.	CLP1007-LS	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	5/135	30	15					90
		<b>მოდული – თანამედროვე საჯარო სამართალი</b>								
24.	CAL0107-LS	თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის აქტუალური პრობლემები	5/135	30	15					90
25.	CAL0207-LS	თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	5/135	30	15					90
26.	CAL0307-LS	თანამედროვე საერთაშორისო სამართლის აქტუალური პრობლემები	5/135	30	15					90
27.	CAL0407-LS	ადმინისტრაციული პროცესი და	5/135	30	15					90

საგნის კოდი	საგანი	საათები \ ECTS	ლექცია	სემინარი (მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	დამოუკიდებელი მუშაობა
	სასამართლო პრაქტიკა								
28.	CAL0507-LS თანამედროვე საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	5/135	30	15					90
29.	CAL0607-LS ადამინის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები	5/135	30	15					90
30.	CAL0707-LS საკონსტიტუციო მართლმსაჯულება და კონსტიტუციური კონტროლი	5/135	30	15					90
31.	CAL0807-LS ხელისუფლების დემოკრატიული ორგანიზაცია	5/135	30	15					90
32.	CAL0907-LS სამოხელეო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	5/135	30	15					90
33.	CAL1007-LS შედარებითი მუნიციპალური სამართალი	5/135	30	15					90
34.	CAL1107-LS ჯანდაცვის სამართალი	5/135	30	15					90

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ქეთევან ქოქრაშვილი

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

გურამ ჯოლია

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

**მიღებულია**

მოდულიზირებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

4 ივლისი 2012

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური

პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე

CV

<b>პერსონალური ინფორმაცია</b>	
გვარი	ქეთევან ქოქრაშვილი
ეროვნება	ქართველი
დაბადების ადგილი	თბილისი
დაბადების თარიღი	16.05.1966
მისამართი	თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. №1
ტელეფონი	(+995 599) 19 17 19
ელ. ფოსტა	kkokrashvili@gtu.ge
<b>განათლება, სამეცნიერო ხარისხი</b>	
1984-1990	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სპეციალობა: სამართალმცოდნეობა)
1990-1993	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურის განყოფილება
1999	იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭება დიპლომი <b>002354</b> (ოქმი <b>9 19.06.99</b> )
<b>სამუშაო გამოცდილება</b>	
1992-1994	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „სამართლის“ კათედრა, ასისტენტი
1994-1995	იქვე, „სამართლის“ კათედრა, უფროსი მასწავლებელი
1995-2000	იქვე, „სამართლის“ კათედრის გამგის მოადგილე
2000-2005	იქვე, „სამართლის“ კათედრის გამგე, სტუ-ს პროფესორი
2004-2005	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო მინისტრის მოადგილე საპარლამენტო მდივანი
2005-2008	რეფორმების კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მთავარი მრჩეველი საპარლამენტო მდივანი
2005-2006	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი
2006-2007	იქვე, ადმინისტრაციის, ეკონომიკური, საფინანსო და სამეურნეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსი
2005 წლიდან დღემდე	იქვე, სრული პროფესორი კერძო სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი
2007 წლიდან დღემდე	იქვე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე
<b>საზოგადოებრივი საქმიანობა</b>	
ჟურნალ „თემიდას“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე	
სტუ-ის საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალი „ქესჟ“-ის სარედაქციო საბჭოს წევრი	
ჟურნალ „ეკონომიკის“ სარედაქციო საბჭოს წევრი	
<b>კვალიფიკაციის ამაღლება</b>	
2005	NISPAcee training course “How to be a better policy advisor”
2005	participated in the training course in Poland “One-stop-shops for business development in eastern/central Europe”
2011	UK Academic. The seminars on “International human resource management & risk management – jeneral issues”

<b>დარგობრივი და საერთაშორისო აკადემიის წევრობა</b>	
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი	
<b>პედაგოგიური მოღვაწეობა და საგანთა ჩამონათვალი</b>	
<b>1992 წლიდან</b>	სტუ: 1. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი 2. სანივთო სამართალი 3. სამეწარმეო სამართალი
	თავისუფალი უნივერსიტეტი: 1. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი 2. სამეწარმეო სამართალი
	კავკასიის უნივერსიტეტი: 1. სამეწარმეო სამართალი
<b>ჯილდოები</b>	
<b>2003</b>	ღირსების მედალი
<b>2006</b>	ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტის „XXI საუკუნის გამოჩენილი ქალების ნომინაციის გამარჯვებული“ <b>”2006 წლის ქალი“</b> -ს მფლობელი (აშშ)
<b>2007</b>	მშვიდობის მსოფლიო მედალი „სამოქალაქო სამართლის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის“ (აშშ)
<b>გამოქვეყნებული ნაშრომები</b>	
22 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 1 მონოგრაფია, 7 სახელმძღვანელო (მათ შორის თანაავტორობით), 1 სალექციო კურსი, 13 სამეცნიერო სტატია (მათ შორის 2 თანაავტორობით) რეფერირებად გამოცემებში	
<b>ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა</b>	
7 ადგილობრივი, 10 საერთაშორისო კონფერენცია	
<b>უცხო ენების ცოდნა</b>	
რუსული, ინგლისური	
<b>კომპიუტერის ცოდნა</b>	
MS Windows, MS Office (Word, Excel, Power Point, Outlook) Internet, E-mail	



**ინფორმაცია ადამიანური რესურსის შესახებ**

სისხლის სამართლის მიმართულებით		
1.	ჯემალ გახოკიძე	სრული პროფესორი
2.	შოთა ფაფიაშვილი	სრული პროფესორი
3.	ირა აქუზარდია	ასოცირებული პროფესორი
4.	პაატა კობალაძე	ასოცირებული პროფესორი
5.	გოჩა მამულაშვილი	ასოცირებული პროფესორი
6.	ჯემალ გაბელია	ასოცირებული პროფესორი
7.	გია ხუროშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
8.	მიხეილ მამნიაშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
9.	დავით კარიაული	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
10.	გიორგი თოდრია	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
11.	მიხეილ გაბუნია	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
12.	დარეჯან ლეკიაშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
საჯარო სამართლის მიმართულებით		
13.	ლალი შაიშმელაშვილი	სრული პროფესორი
14.	ნინო ნიშნიანძე	სრული პროფესორი
15.	ზვიად როგავა	ასოცირებული პროფესორი
16.	ირაკლი გაბისონია	ასოცირებული პროფესორი
17.	ქეთევან ჯინჭარაძე	ასოცირებული პროფესორი
18.	ვეფხვია გვარამია	ასოცირებული პროფესორი
19.	ხათუნა ლორია	ასოცირებული პროფესორი
20.	ნანა ნიორაძე	ასოცირებული პროფესორი
21.	მარი ჯიქია	ასოცირებული პროფესორი
22.	მალხაზ ბეგიაშვილი	ასოცირებული პროფესორი
23.	ქეთევან ჩახვაძე	ასოცირებული პროფესორი
24.	გოჩა ოჩიგავა	ასოცირებული პროფესორი

25.	ავთანდილ დემეტრაშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
26.	გივი ლობჯანიძე	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
27.	ლიანა ადეიშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი
კერძო სამართლის მიმართულებით		
28.	ქეთი ქოქრაშვილი	სრული პროფესორი
29.	ზვიად გაბისონია	სრული პროფესორი
30.	ვალერი ხრუსტალი	ასოცირებული პროფესორი
31.	კარლო ბზიშვილი	ასოცირებული პროფესორი
32.	ირმა მერებაშვილი	ასოცირებული პროფესორი
33.	ლევან ხეცურიანი	ასოცირებული პროფესორი
34.	თეა კვამბერიძე	ასოცირებული პროფესორი
35.	ზურაბ ძლიერიშვილი	სამართლის დოქტორი, მოწვეული სპეციალისტი